№ 227
ხუთშაბათი, 27 ოქტომბერი 1894

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1894

ივერია

№ 227
ხუთშაბათი, 27 ოქტომბერი 1894

რედაქცია:
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად:
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ.
გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ—
16 კაპ. მეოთხეზედ—8 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ივერია“

გამოდის 1894 წელს
იმავე პროგრამით, როგორც წინად.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისი,
„ივერიის“ რედაქციას
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
ТИФЛИСЪ. Редакція „ИВЕРІА“.

ტფილისის გუბერნიის თავად აზნაურობის წინამძღოლმა თავადმა კ. ი. ბაგრატიონ მუხრან-ბატონმა სამგლოვიარო დეპეშა მისწერა მისს იმპერატორებითი უდიდებულესობას გუშინ წინ 25 ოქტომბერს, და გუშინ საღამოს შემდეგი პასუხი მოუვიდა:

„გულწრფელად ვმადლობ ტფილისის თავად-აზნაურობას მის მიერ გამოთქმულის მწუხარებისა და გლოვისათვის, რომელსაც მთელი რუსეთი ჰგრძნობს ჩემთან ერთად ამ სამწუხარო დროს.

ნიკოლოზი“

აი დეპეშაც, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლის მიერ წარგზავნილი:

ლივადიას. მისს იმპერატორებითს უდიდებულესობას ხელმწიფე იმპერატორს ნიკოლოზ ალექსანდრეს ძეს.

„ამა მძიმე განსაცდელის დღეთა შინა, რომელიც მოევლინა ჩვენს სამშობლოს, ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობამ, ძვირფასის ხელმწიფის სნეულების ჟამს გამოიარა-რა მთელს რუსეთთან ერთად შესაძრწუნებელნი დღენი, აღსავსენი შიშითა და იმედითა, მომანდო მე თქვენისა და ხელმწიფე იმპერატრიცას კვარცხლბეკისა წინაშე გამომეთქვა გრძნობანი დიდის მწუხარებისა და თქვენის იმპერატორებითის უდიდებულესობისა და თქვენის სამეფო სახლობის ერთგულებისა“.

◆ ◆

ტფილისი, 26 ოქტომბერი

არა ერთის სოფლიდგანა და არა ერთის კორესპონდენტისაგან მოგვსვლია ამბავი, რომ ადგილობრივნი მოხელენი და აქაურნი განათლებულნი სცდილობენ როგორმე სასწავლებელი დაარსონ, მაგრამ გლეხობა დიდს უარს არის, არ გვინდა სასწავლებელიო. აქ კორესპონდენტები ჩვეულებრივად მოჰყვებიან ხოლმე გაჭიანურებით ლაპარაკს, რომ სწავლა-განათლებას დიდი მნიშვნელობა აქვს და ჩვენს უვიცს, გაუნათლებელს გლეხობას ვერ შეუგნია დიდი სარგებლობა ცოდნისაო, „სწავლა მადლია ღვთაებისა, ცხოველი მარადისო“, გლეხობას ჩამგონებელი, დამრიგებელი არა ჰყავს, უვიცობის მორევშია ჩაფლულიო, და სხვანი.

გულის ტკივილითა კითხულობთ ასეთს კორესპონდენციას და გიკვირთ, ნუ თუ ჩვენი გლეხი იმდენად შეუგნებელია, იმდენად გონება-ჩლუნგია, იმდენად დახავსებულია და დაბეჩავებული ცხოვრებით, რომ არ უნდა „წიგნის კაცი“ შეიქმნეს, არ უნდა ქვეყნის ავი და კარგი გაიცნოს, ცოდნა შეიძინოს, რომელიც ცხოვრების ტვირთის ზიდვას უფრო ადვილად შეაძლებინებს და არსებობისათვის ბრძოლის იარაღად გამოადგება?! ნუ თუ მოსალოდნელია, რომ გლეხ-კაცმა, რომელიც ცოდნითა სჭამს ლუკმა-პურს და თავი მოაქვს ცოდნითვე, იგივე ცოდნა უარჰყოს, არ მოისურვოს დაბოგანებულ ცხოვრების აცილება და ნუ თუ ისეთი ბურუსი ახვევია უვიცობისა, რომ განათლების შუქს ვერ ჩაუღწევია.

ეს, რასაკვირველია, ძნელად დასაჯერებელი იყო ყველა იმისათვის, ვინც-კი კარგად იცნობს ჩვენს გლეხ-კაცს და ერთხელაც არის მოუკრავს თვალი, რა გულ-მოდგინებით, რა მოწიწებითა და მოკრძალებით ისმენს ხოლმე იგი წაკითხულს წიგნს და რა გულ-დასმით ინერგავს ყოველს წიგნიდგან ამოკითხულს ცნობასა და აზრს. ძნელად დასაჯერებელი იყო, რომ ის გლეხ-კაცი, რომელიც ეხლაც უბრალო მასლაათში ხშირად ჩააკერებს ხოლმე ლამაზად თქმულს სიტყვებს რუსთაველისას, რომელსაც ყოველივე ჩვენის კლასიკურ ლიტერატურის სხარტულად ნათქვამნი აზრნი ანდაზადა აქვს გარდაქმნილი და გადაკეთებული, ეხლა უარ-ჰყოფდა სწავლას, ცოდნას, წერა-კითხვას, როდესაც მისთვის მზრუნველი და მისი გულ-შემატკივარი ურჩევდა, სასწავლებელი დაიარსე, მცირე ხარჯი იკისრე და ეგ ხარჯი შენს შვილს ცოდნას შესძენს, წერა-კითხვას ასწავლისო. დიაღ, ძნელად დასაჯერებელი იყო, მაგრამ კორესპონდენტების სიტყვა მაინც-კი ამოწმებდა ამ ძნელად დასაჯერებელს.

ჩვენ ყოველთვის გვეგონა, რომ აქ რაღაცა სხვა გარემოება უნდა იყოსო, ვინ იცის, კორესპონდენტ'ს ისე ღრმად არ ჩაუხედნია გლეხის გულში, რომ მისი გულის ნადები აღმოეკითხა, მისი გულს ჩაჭდეული და ხშირად ბაგით აღმოუთქმელი აზრი შეეტყო და გამოერკვია ნამდვილი მიზეზი მის მიერ სასწავლებლის უარ-ყოფისა, ვითომ-და ცოდნისაგან შორს გაქცევისა და „წიგნის კაცად“ გახდომისათვის ორიოდე გროშის გამოუმეტებლობისა. ჩვენი აზრი გამართლდა. ერთის კორესპონდენტის წერილმა ნათლად დაამტკიცა, რომ გლეხ-კაცი საზოგადოდ ცოდნას კი არ გაურბის, არამედ ცოდნას, იმ სახით მიწოდებულს, რასაც აწინდელი უნაყოფო სასწავლებელი წარმოადგენს.

აი სამეგრელოს სოფ. ხეთას გლეხებს რა უპასუხნიათ ბოქაულისა და მასწავლებლისათვის, როდესაც იმათ სასწავლებლის დაარსება ურჩევიათ:

„ბევრჯელ შევკრებილვართ ამ საქმის გამო, ბევრჯელ გვსმენია თქვენი მომხიბლავი სიტყვა-დარიგება, მაგრამ უარი გვითქვამს და ეხლაც ამას ვამბობთ. აი რად: ჩვენ ორ-კლასიანი ნორმალური სკოლა დავაარსეთ კაჟებისათვის და ჩვენს შვილებს თურმე ქართულს კი არ ასწავლიან. ეს ჩვენ ეხლა შევიტყეთ... ჩვენი მხურვალე და გულ-მოდგინე სურვილი ის არის, რომ ჩვენს შვილებს რუსულთან ქართულადაც ასწავლონ ლოცვები და წერა-კითხვა“ („ივერია“, № 207).

ნუ თუ ამის შემდეგაც ითქმის, რომ გლეხი სწავლას გაურბის რადგან არ იცის მისი მნიშვნელობა, არა აქვს შეგნებული მისი სიკეთეო? განა სამართლიანად არ ამბობს გლეხი, რომ ქართულადაც ასწავლეთ ჩემს შვილს წერა-კითხვა, რომ ამ სწავლამ ნაყოფი მოიტანოს, რომ მისი გამოყენება შევიძლო ცხოვრებაში და ვირგო ამ სწავლითაო; ისეთი სწავლა მიეცით, რომ შეიძლოს საღმრთო წერილისა, სახარებისა და სხვა სასარგებლო წიგნების წაკითხვა, თითონაც შეისმინოს წმიდა სიტყვა უფლისა და მეც დამატკბოს იმისის მოსმენითაო? გლეხ-კაცს თუ ასეთი აზრი გამოუთქვამს, რასაკვირველია, არა იმ პედაგოგიურის მოსაზრებით, რომ ყოველის სწავლისა და ცოდნის მიმცემი იარაღი დედა-ენა უნდა იყოს,

ფელეტონი

რაჭის ავ-კარგიანობა

რაჭველის ნიჭი და ადგილ-მამულის სივიწროე.—სასწავლებლების უქონლობა.—უვიცობის ბურუსი და ამ ბურუსის წინააღმდეგ ამხედრებულნი.—ახალის მაზრის უფროსის მეცადინეობა და სახელოსნო სასწავლებლების საჭიროება.

გამოჩენილი პროფესორი, პსიხოლოგი ლეფტინგი ცხადად გვიმტკიცებს, რომ კაცის ჭკუის მუშაობასა და იმის გონებაზედ განუსაზღვრელი გავლენა აქვთ ფიზიკურ მოვლენათ — ბუნებას. ამიტომ საცა ბუნება მდიდარია, იქ კაციც ბუნებით ნიჭიერი უნდა იყოს.

ბუნება რაჭაში წარმოადგენს ყოველს იმ სხვა და სხვაობას, რის ძალაც კი ჰქონია და რაც შესძლებია. აქ იპოვით თვალ-აუწდომელ სიმაღლეებს, მშვენიერს მცენარეულობას, მთის მოუსვენარ მდინარეებს, გაშლილ და ათასფერად აყვავებულ მინდვრებს, ტყეს, ბუჩქნარებს...

ამ ბუნების სიმდიდრეს, რასაკვირველია, რაჭველები დიდის ნიჭის პატრონნი და ბუნებით გონიერნი უნდა გეხადნა და ეს ასეც არის. რაჭველების ცხოვრება, იმათი ზნე-ჩვეულებანი, რაჭველის მუდმივ ჩაფიქრებული სახე დაგიმტკიცებთ, რომ ბუნებას იმისთვის მიუმადლებია დიდი ჭკუა და მრავალ გვარი ნიჭი. რაჭველი მოსამსახურობაშიაც კარგია, სწავლაშიაც, ხელ-საქმეშიაც. ზოგიერთ სოფელში ჩვენგან ნანახი ხელსაქმე ამტკიცებს რაჭველების დიდს ფანტაზიას, იმის ჭკუის მოხერხებულობასა და შემოქმედობას. რაჭველები კარგი მოლაპარაკენი არიან, საუკეთესო მოშაირენი, მომღერალნი და სხვ.

მოვიყვანთ ერთს მაგალითს: რაჭაში ჩვენს თვალს ცხოვლად წარმოუდგა ერთი სურათი, რომელიც დიდი ხანია, რაც ერთის მხატვრის „ალბომში“ ვნახეთ. ამ სურათს ძირს წარწერა ჰქონდა: „итальянецъ наигривающій на свирели“:

სევიდგან ონისკენ, სოფ. სევის ახლო, გაყვანილია გზა მაღალ მთის ნაპირზედ. აქ ერთ ალაგიდგან დიდს მანძილზედ მოსჩანს კეკლუცი რიონის ორივე ნაპირები, გორაკები და მინდვრები; რიონის ერთ ნაპირზედ გაყვანილია შარა გზა. გორაკები და მინდვრები მოფენილია მშვენიერის მცენარით. ყველა ეს წარმოადგენს მეტად სასიამოვნო სურათს და ძნელად, რომ ამ ალაგმა არ დაატყვევოს მგზავრი და არ დაატკბოს სიამოვნებით.

სწორედ აქ, ერთ ამაღლებულს ალაგას, იჯდა თმა-ხუჭუჭა ბიჭი და უკრავდა სალამურს. სეველი ისე იყო გართული სალამურის სტვენით და ისე დასჩერებოდა წინ გაშლილს ბუნების მშვენიერებას, რომ ვერც-კი შეიტყო ჩვენი მიახლოვება. „ბიჭო, გამარჯობა შენი!“ დავუყვირეთ ჩვენ. იმან პასუხის მაგივრად ისეთის სახით შემოგვხედა, თითქოს გვეუბნებოდა, რად დამიშალეთო, და მოჰკურცხლა სოფლისაკენ.

ეს ბიჭი, როგორც ეტყობოდა, დიდის ნიჭის და გრძნობის პატრონი უნდა ყოფილიყო. ნათქვამია: „ლორს ტლაპო უყვარს, ირემს-კი ლამაზი მთაო“. დარწმუნებულნი ვართ, რამდენისამე ხნის შემდეგ ეს ბიჭუნა ამოიჩრის იღლიაში სტვირს და დაიწყებს ლექსების თხზვას. იგი გადაიქცევა ქალაქში კარ და კარ მოსიარულე მესტვირედ, ჩვენ ხალხურ პოეტად, ჩვენ სეველ ბაიარდად!

პატარა საგაზეთო წერილში შეუძლებელია ყველა ის საბუთი დავასახელოთ, რომლითაც მტკიცდება რაჭველების ნიჭიერება. ვიმეორებთ, რაჭველები მეტად ნიჭიერნი და გონიერნი არიან. რაჭველი ადვილად ითვისებს ყველაფერს, რასაც-კი კაცი აჩვენებს, ან ასწავლის და სწავლაში ბეჯითიც არის.

სამაგიეროდ ბედს მოუსპია რაჭველისთვის ყოველი გზა ჭკუის აღზრდისა, ნიჭის მოხმარებისა. მთელს რაჭაში ორს ალაგას თუ ჰნახავთ სასწავლებელს. რასაკვირველია, ასეთს მდგომარეობაში, მეტადრე ისეთს უმიწობის დროს, რომლითაც რაჭას ჩვენს სამშობლოში ცალი და ბადალი არ მოეპოვება, ერთი-და დარჩენია რაჭველს: ნორჩი შვილი ქალაქში ჩაიყვანოს და იქ დააწყებინოს „ლაქიაობა“. ადვილად წარმოსადგენია, რაჭველის გამჭრიახ ჭკუისათვის რა მავნებელი უნდა იყოს ეს გზა, რომელზედაც მოსიარულენი უფრო ხშირად სრულიად გაუკულმართდებიან ხოლმე. შავ-ბედიან რაჭას ყოველ წლივ უბრუნდება რამდენიმე ასი ზურგ-მოწყვეტილი, ყოველის ცუდის ზნით შემკული მამულიშვილი! ბევრი პატიოსანი დედ-მამა დასტირის ამ შავს ბედს, ამ ცხოვრების უკუღმა წამყვან აუცილებელს გარემოებას და არ იცის-კი რა წყალს მიეცეს, რითი უშველოს თავისს თავს. დიახ, ეს გარემოება ისეთს უბედურებას მოასწავებს, რომ ბევრს ქართველს ჩააფიქრებს.

რაჭველებს რომ სამეურნეო და, მეტადრე, სახელოსნო სასწავლებლები ჰქონოდათ, ეს ასე არ მოხდებოდა, რაჭაში ცოდნა და ხელობა გავრცელდებოდა და ხალხს ახალი წყარო აღმოუჩნდებოდა ცხოვრებისა.

ყველგან დიდიხანია მიხვდნენ, რომ ეს აუცილებელი მოთხოვნილება უნდა დაიკმაყოფილონ თითონ მცხოვრებლებმა. ყველგან სოფლები ჰკრეფენ გროშობით ფულს და რამდენისამე ხნის შემდეგ ჰმართავენ თავისის ხარჯით სასწავლებლებს. რაჭას ეს ფიქრადაც არ მოსვლია.

უსამართლობა იქნება, რომ ბრალი სოფლელებს დავდოთ: უბადრუკი სოფლელები არც-კი ჰფიქრობენ, რომ ეს საქმე შესაძლებელია. ბრალი, რასაკვირველია, იმათ ედებათ, ვისაც ეს

რომ სხვა, არა-დედა-ენაზედ ყმაწვილის განათლება, სწავლა ყოვლად შეუძლებელიაო,—არამედ ამ აზრამდე თვით ცხოვრების გამოცდილებას მიუყვანია, წარსულს დაუბეჯითებია იგი, რომ ჩვენი შვილი სასწავლებლიდგან ისეთივე უვიცი გამოდის, როგორც სასწავლებელში გამოუვლელია, და თუ იცის რამ, ისიც ისეთი, რომელსაც ჩემთვის სიკეთე სულ არა მოაქვს-რა, ჩემს ცხოვრებას არაფერს სარგებლობას არ აძლევს და, ანდაზისა არ იყოს, „ჩემი ურკები ქოთანი-კი ქვასა და შეჭამადი—ძაღლსაო“.

აი, ამ აზრს ჩვენის სოფლის სასწავლებლების უვარგისობისას, აზრს, რომელიც, ვიმეორებთ, ზემოდგან-კი არ არის პედაგოგთა მიერ ჩაძახებული და საპედაგოგიო კანონებზედ ლამაზად აკინძული, არამედ თვით ცხოვრების გულშია ნადუღი და წინ წამოყენებული, ანგარიშის გაწევა უნდა, თორემ საფიქრებელია, რომ ჩვენი გლეხ-კაცი სულ ერთიანად გაექცეს მთავრობის მიერ დაწესებულს სასწავლებლებს და თავისის შვილების დიაკვნებთან მიბარება არჩიოს ქართულის წიგნისა და წერა-კითხვის სასწავლებლად.

ფარნაოზი

* * *

ნეკროლოგი

† თავადი ანტონ ლორთქიფანიძე

ქართველ განათლებულ თაობას კიდევ ერთი მუშაკი მოაკლდა——თავადი ანტონ ლორთქიფანიძე გარდაიცვალა.

განსვენებული ჯერ სულ ახალგაზდა იყო, უნივერსიტეტიდან სწავლა-დამთავრებული რომ დაბრუნდა, და მას შემდეგ არც ერთი ქართული საქმე არ დაარსებულა ჩვენში, არც ერთი სამნიშვნელო შემთხვევა არა ყოფილა, რომ ანტონ ლორთქიფანიძეს მხურვალე მონაწილეობა არ მიეღოს. პირველად მან სასჯულო ნაწილი აირჩია, მაგრამ ანტონის ცოცხალმა და მგრძნობიარე ხასიათმა ეს თანამდებობა ვერ შეითვისა და მალე თავი დაანება. ამის შემდეგ სახელმწიფო სამსახურში შესვლა აღარ განუზრახავს. სამაგიეროდ განსვენებულმა მიჰყო ხელი საზოგადოების სამსახურს და ამ განზრახვით ანტონ ლორთქიფანიძე ყოველთვის იქ გაჩნდებოდა, სადაც-კი საზოგადო საჭიროება მიიწვევდა; იგი თანასწორის ხალისით და ერთგულებით ეკიდებოდა ყოველს საზოგადო საქმეს: ქალაქის მოურავის მოადგილეობა იქნებოდა ეს საქმე, თუ წიგნთ საცავის გაძღოლა; სააზნაურო ბანკის ზედამხედველ კომიტეტის თავმჯდომარეობა, თუ ქართულის თეატრის რეჟისორობა—ნაფიცი ვექილობა, თუ სცენაზე თამაში იმერლის როლისა, ანტონს ყველგან და ყოველს საქმეში სიმართლე, სიცოცხლე და ხალისი შეჰქონდა, რაიცა იმას ყველასათვის ძვირფასს და საყვარელ კაცად ჰხდიდა. მაგრამ საბრალოს არ დასცალდა არც თავისს კეთილის განზრახვათა განხორციელება, არც თავისის საყვარელ სამშობლოს ბედნიერად დანახვა.

დასავლეთი საქართველო კარგად იცნობს ანტონ ლორთქიფანიძეს და იმიტომ საგულისხმოა, რომ იმისი ასე უდროოდ სიკვდილი დიდს მწუხარებას გამოიწვევს იმიერ და არა ნაკლებ ამიერ, ვინც-კი იცნობდა.

განსვენებული გარდაიცვალა ფილტვების ანთებით, რომელსაც უკანასკნელად გულის სისუსტე დაერთო. ოთხის წლის წინად თავადს ანტონს სიკვდილმა წაართვა მეუღლე, ასული განსვენებულის დიმიტრი ყიფიანისა, ელენე, რომელსაც საქართველოს ორივე ნაწილი, დასავლეთიცა და აღმოსავლეთიც დიდად აფასებდა იმ გულწრფელის მოღვაწეობისათვის, რომელიც გამოიჩინა განსვენებულმა თავისს ხან-მოკლე სიცოცხლეში.

ჩვენის ქვეყნისათვის, სადაც რაზმი განათლებულ საზოგადო მოღვაწეთა, ჯერ ერთი, რომ ნაკლებია, და მეორე სუსტიც არის, ისეთის მხნე და ერთგულის მოღვაწის დაკარგვა, როგორიც იყო განსვენებული თავადი ანტონ ლორთქიფანიძე, ჭეშმარიტად რომ საგრძნობელი და სამწუხარო დასაკლისია.

* * *

ახალი ამბავი

⁂ სამი დღეა, რაც ქალაქში ჩამოვიდა ლონდონიდგან ინგლისის მწერალი ბატონი ოლივერ ვარდროპი. პატივცემულმა უცხოელმა აგერ რამდენიმე წელიწადია, რაც ქართულის ისტორიის და მწერლობის შესწავლას მიჰყო ხელი. ბ-ნმა ვარდროპმა კიდეც დაბეჭდა საქართველოს შესახებ თხზულება, რომელსაც ეწოდება „The Kingdom of Georgia By Oliver Wardrop“ ეხლა ინგლისელი მწერალი ჩამოსულა ჩვენში ქართულის ენის შესასწავლად. ჩვენს საზოგადოებას დიდი ხანია ღრმა პატივისცემა ჰქონდა კეთილშობილის ალბიონის შვილისა და ეხლა კი რაკი ბატონი ვარდროპი დარჩება აქ, ქართველს საზოგადოებას, უეჭველია, არა ერთხელ ექმნება შემთხვევა დაუმტკიცოს თავისი უგულითადესი პატივისცემა და სიმპატია. საგაზაფხულოდ ბატონი ვარდროპი მოელის თავისს დას ქ-ნს მარჯორი ვარდროპს, რომელიც თავისს ძმასავით დიდის სიამოვნებითა და გულ-მოდგინებით სწავლობს ქართულს ენასა და მწერლობას. ჩვენის გაზეთის მკითხველი უეჭველია კარგად იცნობს ამ საპატიო ახალგაზდა ინგლისელ მწერალ ქალს, რომლის წერილის გამო ამ ჟამად დიდი კამათობა აქვთ ქართველს ქალებს ატეხილი. ამ ქალის ვინაობა და ღვაწლი საკმაოდ გვქონდა აწერილი ჩვენს გაზეთში და ამიტომ საჭიროდ აღარა ვსთვლით იმის გამეორებას.

⁂ ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი შუამდგომლობს, რათა ნება დაერთოს თავად-აზნაურობას თავისი წარმომადგენლები გაჰგზავნოს ღვთის მიერ განსვენებულის იმპერატორის ალექსანდრე მესამის გვამის დაკრძალვის დასასწრებლად.

⁂ კავკასიის უმთავრესმა მმართველობამ შუამდგომლობა დაიწყო მთავრობის წინაშე, რომ კარგი იქმნება კავკასიის სამხედრო ოლქის სასამართლოსთანვე დაარსებულ იქმნას განსაკუთრებული საკასაციო განყოფილებაო. საკასაციო განყოფილების დაარსება იმიტომ უცვნია საჭიროდ, რომ ამ ბოლოს დროს პეტერბურგის სამხედრო სასამართლოში დიდძალი საკასაციო საჩივარი მიდის და საქმეთა სიმრავლის გამო სასამართლოს ხშირად რამდენსამე წელიწადს განუხილველად რჩებათ.

⁂ ამას წინად მოხსენებული გვქონდა, რომ პეტერბურგში მოკლულის მილიონების პატრონის ქალის ჩერნეცკის მემკვიდრე ტფილისში აღმოჩნდა, იგი სამსახურიდგან გადამდგარი პოლკოვნიკია ჩერნეცკი. დღეს გაზეთს „კავკაზს“ შეუტყვია, რომ იმ ვექილს, რომელმაც იკისრა თავისის ხარჯით ჩერნეცკის მემკვიდრეობის დამტკიცება, უკვე შეუკრებია საკმაო საბუთები ამ საქმის თვის. ეს ვექილი თავისს გასამრჯელოდ 25 °/0 იღებს იმ ფულიდგან, რომელიც ჩერნეცკის ერგება სამკვიდროდ ე. ი. 2 მილიონ მანეთს, რადგანაც სამკვიდრო სულ 8 მილიონია. მილიონების მემკვიდრე პოლკოვნიკი ამ ჟამად ტფილისის რკინის გზის მმართველობაში ჰმსახურობს და 45 მან. ჯამაგირი აქვს; დიდი სახლობა ჰყავს და საზოგადოდ ხელ-მოკლედა სცხოვრობს.

⁂ გაზ Тиф. Лис.-ს გაუგონია, რომ ერთ ბათუმელ ვაჭარს განზრახვა აქვსო მდინარე ჭოროხის ნაპირებზედ მდებარე სპილენძის მადანი შეიმუშავოს. ამისთვის საჭიროდ დაუნახავს ბათუმსა და კობანდიდს შუა ვიწრო ლიანდაგის რკინის გზის გაყვანა, რის გამოც ქუთაისის გუბერნატორისაგან ნება-რთვაც უთხოვნია. ამავე ვაჭარს განზრახვა აქვს ჭოროხის კალაპოტი ალაგ-ალაგ ჩააღრმავოს, რომ ნავებით მადნის წაღებ-წამოღება უფრო უშიშრად შეიძლებოდეს.

⁂ გაზეთ «ნოვოე ობოზრენიე»ს ატყობინებენ, რომ ფინანსთა სამინისტრომ განკარგულება მოახდინა მომავალს (1896 წ.) რუსეთის გამოფენაზედ კავკასიელ ექსპონენტებისაგან განცხადებების მიღების ვადა 1895 წლ. პირველ მარტამდის გახანგრძლივდეს.

⁂ „Русск. „Жизнь“-ის სიტყვით მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ამ ჟამად წარდგენილი აქვს და არჩევს კავკასიაში სახელმწიფო მამულების გამიჯვნის საქმეს.

⁂ გაზ. „Нов. Вр.“ გაუგონია, რომ დაბრუნდება თუ არა პეტერბურგში, ამ წლის გასულს, საპყრობილეთა უმთავრესის მმართველობის უფროსი გალკინი ვრასკი, რომელიც ეხლა ციმბირში ჰმოგზაურობს, აწინდელი წეს-წყობილება მადნებში მუშაობის შესახებ და კუნძულ სახალინზედ არსებითად შეიცვლებაო.

* * *

ქორესპონდენცია

ს. ოტობაია. (ზუგდიდის მაზრა). სოფ. ოტობაია ნოყიერს ნიადაგზეა გაშენებული, რის გამოც მოსავალი კარგი მოგვდის ხოლმე და შეიძლება კაცმა უზრუნველად იცხოვროს, მხოლოდ უბედურება ეს არის, რომ ქურდებისაგან განიორ-წყალებულები ვართ. ჩენი სოფელი მდ. ენგურის ნაპირად მდებარეობს, აფხაზეთის სამზღვართან, და რაც-კი ნაქურდალი საქონელი იქნება, სულ ჩვენ სოფელზედ გამოატარებენ ხოლმე. სწორედ შეგვაწუხეს, მაგრამ შეიძლება ღმერთმა გვიშველოს და ამ უბედურებას როგორმე დავაღწიოთ თავი. ამ დღეებში ჩვენის მაზრის და სამურზაყანოს უფროსს ამის შესახებ მოლაპარაკება ჰქონდათ და გადასწყვიტეს: 1) არჩეულ იქმნას 24 კაცი, (12 ზუგდიდის მაზრასა და 12 სამურზაყანოში) იმათვე ზედამხედველად დაინიშნოს თავ.

საქმე ესმის და არა ჰშველის ხალხის საჭირვებას: ამ მდგომარეობაში დიდად პატივსაცემია ყოველი ის, რომელიც იტვირთებს ხოლმე ჩვენში წიგნთ-საკითხავების და სკოლების დაარსებას. დღევანდლამდე მთელს რაჭაში არსად არ მოიპოვებოდა წიგნთ-საცავი; ეს რაღ გინდათ, რაჭველს რომ წიგნის ყიდვა მოენდომებინა, ამ სურვილსაც-კი ძნელად აისრულებდა: რაჭაში არსად არ იყიდებოდა ქართული წიგნები.

პატივცემულ ნ. ი. მრევლიშვილის მეცადინეობით ეხლა დაბა ონში დაარსდა ამხანაგობა, რომელსაც აზრად აქვს გამართოს წიგნის მაღაზია და იქვე იქონიოს წიგნთ-სამკითხველოც. ამხანაგობამ ამოირჩია ერთი სანდო კაცი ბ-ნი გიორგი მარკოზის ძე გრძელიძე, და იმას მიანდო ამ აზრის განხორციელება. წესდება ამხანაგობისა ხეირიანად არის შედგენილი და ხელს უწყობს საქმის განკარგებას და მრავალ სხვა საგნის განხორციელებასაც. საუბედუროდ, რაჭაში ამ საქმეს, მოხელეების გარდა, თითქმის არავინა ჰყავს მომხრე და მოხელეები („ჩინოვნიკები“) a lá „me miserum, me pauperum“...

სასურველია, რომ ამ საქმეს მიეშველოს შეძლებული თავად-აზნაურობა, რომლისთვისაც, ვგონებთ, ერთის ანუ ორის მანათის შეწევა გასაჭირი არ იქნება. ამ საქმის განსახორციელებლად დიდი დახმარება აღმოუჩინა ამხანაგობას მაზრის უფროსმა ზ. რ. ყიფიანმა. ზოგიერთმა განაცხადა, საშიშია, რომ საქმე გაჭიანურდება და ფული ჩქარა ვერ შეიკრიბებაო.

მართლაც არავისთვის არ არის დაფარული, რომ თითქმის მთელს ჩვენს სამშობლოს მოდებული აქვს ერთი მავნებელი სენი: ჩვენ ყოველ საქმეში გვჭირდება ძალ-დატანება. ეს სენი რაჭაში მეტად გადაჭარბებულია: რაჭველს, ძალიან მშიერიც რომ იყოს და მშვენიერი ჩახოხბილი ქათამი რომ წინ ედოს, მაშინაც უნდა რამდენჯერმე შეჰყვირო: „კაცო, ჰჭამე“. ამის შემდეგაც იმას ერთბაშად ვერ დააწყებინებ ჭამას: ერთს მაგრად ამოიოხრავს და მერე გკითხავს კიდეც: «რაო, ვჭამო?!.» ამიტომაც მცირეოდენი ძალდატანება აუცილებლად საჭირო იქნება ამ კარგ სურვილის განსახორციელებლად. ჩვენის აზრით, მაზრის უფროსი ადვილად შეიძლებს თავისს გავლენით ზომიერი ძალ-დატანება იხმაროს და ამით დიდად დაავალებს რაჭველებსაც.

რაჭის მაზრის უფროსი ზ. რ. ყიფიანი დიდი ხანი არ არის, რაც დანიშნეს რაჭის უფროსად და ამ მცირე ხანშიაც საკმარისად დაამტკიცა, რომ ის ეკუთვნის მამულის მოყვარეთა იმ ჯგუფს, რომელნიც არა ჰზოგავენ ჯაფას, და მხნეობას მათდამი რწმუნებულ მაზრის კეთილდღეობისათვის. ეს მამულიშვილები, ბუნებისაგან ნიჭით მომადლებულნი, გაცილებით განსხვავდებიან იმ მოხელეთაგან, რომელთაც მუდმივ რაღაც „запрещено“-ები ელანდებათ. ბ-ნმა ყიფიანმა მხნედ დაიწყო რაჭაში სკოლების დაარსება, გზების გაუმჯობესება, ხალხის დარიგება და სხვ.

იმის მეცადინეობით რაჭაში ხუთგან არსდება სასწავლებელი: ამბროლაურსა, პატრა ონსა, ბუგეულსა, ნიკორწმინდასა და ოსებისკუდარელების საზოგადოებებში.

სასწავლებლები იქნება ორ-კლასიანი დაწყისი და არა ნორმალური, რომელიც ვერა ჰხეირობს ჩვენში. იმედი გვაქვს, რომ ბ-ნი ყიფიანი მიაქცევს ყურადღებას აგრეთვე იმისაც, რომ შეუძლებელია ბავშვის გონების გახსნა უიმისოდ, თუ სამშობლო ენა ხეირიანად არ შეისწავლა.

იმისისავე მეცადინეობით ონის ორ-კლასიანი სასწავლებელი უნდა გადაკეთდეს სამ-კლასიან სახელოსნო სასწავლებლად.

ამ გვარ სასწავლებლის საჭიროებისა და სარგებლობის შესახებ ბევრს არ ვიტყვით. ვინც დაჰკვირებია რაჭის მდგომარეობას, ადვილად მიხვდება, რა დიდად საჭიროა ამ გვარი სასწავლებელი. რაჭის ვიწროობა—მიწის უქონლობა აუცილებლად მოითხოვს ხელოსნობას, ახალი შრომის გაჩენას.

საუბედუროდ ამ საქმეში ბ-ნ ყიფიანის სურვილს წინ გადაეღობა ურიების ჯიუტობა. დაბა ონში ურიები რიცხვით მცხოვრებლების ნახევარზედ მეტს შეადგენენ და იმათი ჯიუტობა ამ საქმეში ყასიდად აბრკოლებს. ურიებს არ ეჭაშნიკა ის, რომ ბ-ნმა ყიფიანმა მოინდომა ონის მცხოვრებლების შორის ფულის შეკრება სახელოსნო სასწავლებლის დასაარსებლად. ყველაზედ უფრო საყურადღებოდ და სასარგებლოდ ბ-ნ ყიფიანის ის აზრი მიგვაჩნია, რომ იმას განზრახვა აქვს სასოფლო საწყობები, ჭირნახულის დეპოები დაარსოს. ჩვენ გვქონდა ამის შესახებ ბ-ნ ყიფიანთან ბაასი და კიდეც გამოუცხადეთ ჩვენი აზრი. რასაკვირველია ეს კარგი საქმე ბევრს დაბრკოლებას ჰნახავს სანამდე განხორციელდებოდეს მაგრამ, სამაგიეროდ, თუ-კი განხორციელდა, დიდს სარგებლობას მოუტანს რაჭის სოფლებს. ამ გვარი საწყობები კარგა ხანია, რაც ტფილისის მაზრაში არსებობს.

ვათავებთ ამ ჩვენს წერილს და ამასთან ვისურვებთ ნ. მრევლიშვილს და სხვებს, ვინც სცდილობს რაჭას მოაშოროს ის ბურუსი, რომლითაც ეს მხარე აქამომდე იყო გადაკრული, მხნეობა არ დააკლდეთ და არ გაუცრუვდეთ ის კარგი განზრახვანი, რომელიც ყოველს პატიოსანსა და გონიერს მამულიშვილს ამშვენებს და ქვეყნისათვის ყოვლად სასარგებლო და სამაგალითო ადამიანადა ჰქმნის.

გ. ი. გძელიშვილი

ითარ დადიშკელიანი. ეს არჩეულნი ქოვალენი არიან თვალ-ყური ადევნონ ნაქურდალსა და ქურდებს. თუ ჩვენგან სამურზაყანოში გაიტანეს ნაქურდალი, სამურზაყანოში ამორჩეულმა თორმეტმა კაცმა უნდა გადაიხადოს იმისი საფასური, ხოლო თუ იქიდგან გადმოიტანეს, ჩვენში ამორჩეული თორმეტი კაცია პასუხის მგებელი.

ც.

ექიმობა

ყელჭირვების წამლობას სისხლის შრატით თანდათან მეტი მიმდევარი უჩნდება. ხარკოვში უკანასკნელს საბჭოს კრებაზედ ხმოსანმა ილლარიონოვმა რამდენიმე სიტყვა თქვა ექიმის რუს გამოკვლევის მნიშვნელობის შესახებ და მას დასძინა, რომ სასურველიაო შემდეგის კრებისთვის გამგეობამ შეამზადოს მოხსენება იმის გამო, რომ ჩვენს ქალაქშიაც იყოს გავრცელებული ეს საშუალებაო. მეორე ხმოსანმა ორლოვმა განაცხადა, რომ მე დიდად საინტერესოდ მიმაჩნია ეს ახალი წამლობა ყელჭირვებისაო, რადგან ამ სენით შვილები დამეხოცა და შეკრებილის ცნობებიდგან სჩანსო, რომ ხარჯი ხარკოვში ამ წამლის მისაღებად 100 თუმანს არ აღემატებაო. კიევში „Кіевлянинъ"-ის რედაქციამ მიჰმართა წმ. ვლადიმირის უნივერსიტეტის პროფესორს ა. დ. პავლოვსკის, რომელსაც დიდად საინტერესოდ ჰქონდა სისხლის შრატით წამლობა, და სთხოვა რჩევა კიევში ახალის წამლობის გავრცელების შესახებ. პროფესორმა ა. დ. პავლოვსკიმ დიდი თანაგრძნობა აღმოუჩინა ამ საქმეს და გადასწყვიტა, დაუყოვნებლივ შეუდგეს ამ საქმის შემზადებას. დონის როსტოვის ექიმმა რიტენბერგმა მოხსენება წაიკითხა სამკურნალო კრებაზედ ამავე საგნის შესახებ, რომელმაც ყველა იქ მყოფ ექიმთა დიდი თანაგრძნობა გამოიწვია.

ნაბეჭდ საქმეთა გამოფენის გამო პეტერბურგში

(შენიშვნა ასოთ-ამწყობისა)

ათას ნაირ ნაწარმოების შემდეგ ძლივსღა მიექცა ყურადღება იმ დიდ საქმესაც, რომელზედაც დამოკიდებულია მთელს კაცობრიობაში განათლებისა და მეცნიერების გავრცელება. ეს გახლავს ბეჭდვის საქმე, რომელის გამოფენაც იქნება პეტერბურგში მერმის 12 თებერვალს. დაუვიწყარ ჰუტენბერგიდგან დაწყებული აქამდის რა უკეთებიათ სტამბებს და რა ხელოვნებამდის მიუღწევიათ, ყოველსავე ამას მომავალი გამოფენა დაგვანახვებს... მანამდის-კი მხოლოდ ამას ვიტყვით, რომ ამ უტყუარს ბურჯს ლიტერატურისას, როგორიც სტამბაა, ღირსეული ყურადღება არ აქვს მიქცეული. მართალია, ათასნაირი მსწრაფლ მბეჭდავი და საწყობი მანქანები მოიგონეს, მაგრამ მარტო ეს არ კმარა; საჭიროა ხელოვნებაც, საქმეთა ხელოვნურად დასტამბა და აწყობ-შედგენა წვრილ სასტამბო მასალეებიდგან არშიებისა და სხვ. რა უნდა იყოს ისეთი საქმე, რომ სტამბაში არ გაკეთდეს, თუ იგი რიგიანად იქნება მოწყობილი. სტამბას ხელოვნურად უნდა შესწავლა და ხელოვნებას ხომ საზღვარი არა აქვს. ჰუტენბერგს აქეთ რამდენიმე საუკუნოს გაუვლია და ამ ხნის განმავლობაში რომ ღირსეული ყურადღება ჰქონოდა სტამბას მიქცეული ხელოვნების მხრივ, დიდად განკარგდებოდა და გაუკეთესდებოდა სტამბის ნაწარმოები.

ამ მხრივ სტამბის დაქვეითების მიზეზი არის სტამბაში მომუშავეთა ცუდი მდგომარეობა; ამ აუარებელის დროის განმავლობაში არავის არ უზრუნვია იმათის კეთილ დღეობისათვის; იმ თავიდგან ამ თავამდე ჯანს ალევენ სტამბებში და იმ დონეზედ ვერ დადგნენ, რომ თავიანთი მდგომარეობაც გაიკარგონ საბოლოოდ და სტამბასაც ნაყოფი მოუტანონ. არ აქვთ საკუთარი წრე და არც არიან მიწერილი რომელსამე ხელოსანთა ჰამქარში. ევროპაში სტამბის საქმე კიდევ რიგიანს ნიადაგზეა დამდგარი, ჩვენები-კი ღმერთმა შეინახოს, ნამეტნავად ტფილისის სტამბები: ამას წინად ერთს გაზეთში იყო დაბეჭდილი პატარა შენიშვნა, რომ ჯერჯერობით კავკასიიდამ არც ერთს მესტამბეს არ განუცხადებია სურვილი გამოფენაში მონაწილეობის მიღებისაო!!. საკვირველია, ღმერთმანი! კავკასიის დაბა-ქალაქებს რომ არ მივაქციოთ ყურადღება, მარტო ტფილისშია ოცამდე სტამბა (ამათში მომეტებული დიდრონი სტამბებია) და ჯერ არც ერთს მათგანს ფიქრადაც არ მოსვლია თავისის სტამბის ნაწარმოები გამოჰფინოს და დააფასებინოს მცოდნე კაცებს. ნუ თუ კარგი მესტამბე არ უნდა ეცადოს, რომ თავისს სტამბას სახელი გაუთქვას კარგის ბეჭდვითა და ხელოვნურად საქმის შესრულებით.

იტყვიან წინ რა უდგას, რატომ არ უნდა გაგზავნოსო?.. წინ ის უდგას, რომ თითონვე იციან, ხეირიანს ვერაფერს გაჰგზავნიან, რომ მეტოქეობა გაუწიონ სხვა ქვეყნის სტამბებს; ეხლავე ჰგრძნობენ თავიანთს სისუსტეს... საბეჭდავი მანქანა და ასოები ისეთივე აქვთ როგორიც სხვა ქვეყნებში, მაგრამ მარტო ეს არ კმარა; საჭიროა სტამბაში მცოდნე მომუშავენი იყვნენ და დროც ჰქონდეთ; დრო მიეცი მომუშავეს და თუ გნებავთ, კაცსაც აგიწყობთ წვრილის სასტამბო მასალიდგან. ჩვენი სტამბა ამას მოკლებულია; რიგიანი ჯამაგირი და დრო, რომელიც უნდა ასოთ-ამწყობს მოსაფიქრებლად, საქმის კარგათ შესრულებისათვის, ჩვენი სტამბებისათვის დაღუპვაა. იმათ საგნად ისღა აქვთ, შეგირდები აიყვანონ და ბევრი საქმე გააკეთონ, სისუფთავესა და ხელოვნებას აქ-კი სულ არ დაგიდევენ. კარგის ასოთ-ამწყობისა და მბეჭდავის ნაცვლად შეგირდს დააყენებს და ისე აკეთებს. ამის მაგალითია ლ—ის სტამბა, სადაც თვრამეტამდე ასოთ-ამწყობი შეგირდია და ათამდე მსწრაფლ მბეჭდავზედ ვადის შესრულებამდის ამუშავებს. ხოლო თუ ჯამაგირის მომატება ითხოვეს, დაითხოვს და სხვებს მოიყვანს. აი ასე მიჰყავთ საქმე ტფილისის სტამბების მომეტებულს ნაწილს და აბა საიდგან შეეძლებათ იმათ საქმის რიგიანად შესრულება და გამოფენაზედ დასწრება...

საზღვარ-გარეთ ერთმა ხელოვნების მოყვარე მესტამბემ, სტამბის საშუალებით მოინდომა გეოგრაფიულ რუქას დაბეჭვდა. მთელის შვიდ-რვა თვის განმავლობაში აკეთებდა კარგი ასოთ-ამწყობი და ბოლოს დაასრულა კიდეც. მესტამბემ ამდენი ხნის ასოთ-ამწყობის ჯამაგირი და მოცდენა არაფრად ჩააგდო, რაც შეუძლებლად მიაჩნდა შესაძლებელი გაჰხადა. იმისმა დაუზოგავმა ხარჯმა და დრომ დაამტკიცა, რომ შეუძლებელი არაფერი არ არის, თუ კაცი დროს შესწირავს.

დროა ჩვენმა მესტამბეებმაც მიჰბაძონ უცხოელებს, ნამეტნავად ქართველთა ამხ. სტამბამ, რომელიც არც-კი შესდგომია მოამზადოს ქართული რაიმე ხელოვნურად ნაწარმოები საქმე გამოფენისათვის. ამ ამხანაგობის საგანი ის უნდა იყოს, რომ ქართულის ბეჭდვის საქმე რიგიანს ნიადაგზედ დააყენოს და უმთავრესი ყურადღება ბეჭდვის განკარგებასა და ხელოვნურად გაკეთებას მიაქციოს. ამასთანავე ამხანაგობა არ იზამდა ურიგოს, რომ გამოფენაზედ გაჰგზავნოს ერთი ასოთ-ამწყობი და მბეჭდავი, რომელნიც ნახავდნენ და ცოტა მაინც არის შეიგნებდნენ უცხო ქვეყნის სტამბის მშვენიერს ხელოვნებასა.

დასასრულ ორიოდე სიტყვას ვიტყვი ციხის სტამბის შესახებ. ამ სტამბამ, ჩემის ფიქრით, არ უნდა წაჰბაძოს სხვა კერძო სტამბებს, რომელთაც მოგებისათვის ხელოვნებას არ უყურებენ. ამ სტამბას საზოგადო საგანი უნდა ჰქონდეს და იმ აზრითაც არის დაარსებული, რომ პატიმრებმა ხელობა შეისწავლონ, მაგრამ შეისწავლონ სპეციალურად, მკვიდრად. დეე ცოტა საქმე იყოს და იმის ხელოვნურად შესრულება შეეძლოთ. ეს სტამბა ერთად-ერთი სკოლა იქნება სასტამბო ხელოვნების დამთავრებისა, თუ მთავრობა ამ მხრივ ყურადღებას მიაქცევს. საჭიროა მხოლოდ დახელოვნებული ასოთ-ამწყობი და მბეჭდავი დაიქირაონ, რომ ერთგულად და მკვიდრად შეასწავლონ პატიმრებს სტამბის ხელობა.

ლუარსაბ საჩინოელი

მცირე შენიშვნა

წერილი რედაქციას მიმართ.

თავის წერილში „პასუხი კვალის რაზმსა" („ივერია" № 212) ბ-ნი ი. ს—ძე სხვათა შორის ამბობს: „ხოლო რავდენად ეუცხოვებათ ფორმა „ჭკვიერი" არამც თუ აქეთ საქართველოში, სადაც მას ვერავისაგან ვერ გაიგონებთ, არამედ იქითაშიაც, ცხადად დავინახავთ შემდეგი ფაქტიდანა: როდესაც მე ივლისის დამდეგს წავუკითხე ერთს იმერს, მუდმივ თანამშრომელს „კვალისას", სია იმ შეცდომებისა, რომელიც აკაკის მოუვიდა იმ პატარა ჭრელ ფიქრებში, სადაც გამოილაშქრა ალგიაროზედ, იმან მითხრა: ეგ ჭკვიერი კარექტურის შეცდომა უნდა იყოსო, აკაკი მაგ ფორმას ვერ იხმარებდა, მეც პირველად მესმისო. პატივცემულმა ი. ს—ძემ სწორეთ იმ დროს, რომელსაც ასახელებს, მე წამიკითხა თავისი პაწია სამაგიერო (თუ სხვა ჰყავს სახეში, უმორჩილესად ვსთხოვ გამოაცხადოს) აკაკის წინააღდეგ. ხოლო მე უნდა გამოვაცხადო, რომ მე „ჭკვიერი" კორექტურული შეცდომა იქმნება და პირველად მესმის-მეთქი ვერ ვიტყოდი, როგორც მეგრელი, რადგან სამეგრელოში სწორეთ «ჭკვიერი (ჭკვერი)» იხმარება, აგრეთვე სვინდისიერი და სხვა. სამეგრელოს გარდა მთელი ზემო-იმერეთი, სადაც მე აღვიზარდე, და აგრეთვე ქვემო იმერეთიც ხმარობს მაგალითად «კეთილ-სინდისიერს (Добросовѣстный თანამდებობაა სასოფლო სამმართველოში) და არა„ კეთილსინდისიანს.

დუტუ მეგრელი

ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

2-ს სექტემბერს მეთაურს წერილში ჩვენი გაზეთი შეეხო გამიჯვნის საქმეს ჩვენში და სხვათა შორის სთქვა შემდეგი:

„ყველამ იცის, რომ გამიჯვნის სამართლის წესით, ყველას ნება აქვს დავა გამოაცხადოს, თუნდ მამული თავისს დღეში მის ხელთ არ ყოფილიყოს და არა რაიმე სამართალი და საბუთი არ მიუძღოდეს. რა თქმა უნდა, სამართლის კარი არავის არ უნდა გამოეკეტოს და ყოველთვის და ყველასათვის ღია უნდა იყოს, მაგრამ ამ შემთხვევაში-კი მეტად ბოროტად ჰხმარობენ ამ თავისუფლებას დავის გამოცხადებისას და თითქმის ყოვლად დაუსჯელად.

ჩვენ ვამბობთ, ყოვლად დაუსჯელად იმიტომ, რომ ტყუილ-უბრალო მოდავე, ტყუილ-უბრალოდ ასირებული კაცი, მარტო ან მტრობით, ან ჯიბრით ხმალ ამოწვდილი მისევს ხოლმე მართალს მფლობელს და პატრონს მამულისას და [დავა-დარაბას აუტეხს, რა არის, ვითომდა საქმე გაუძნელოს, მალე არ გაათავებინოს და მით ამოიყაროს ჯავრი.

ვისაც თვალ-ყური უდევნებია გამიჯვნის საქმისათვის, ის შენიშნავდა, რომ სადაც მიწათ-მზომელი ფეხს შესდგამს ხოლმე გასამიჯნავად, იქ იმისთანა მოდავენი წამოდგებიან, რომელნიც ფიქრადაც არავის გაუტარებია თავისს დღეში. ამის გამო მამა-პაპიდამ უდაო მამულსაც-კი დავა გამოუჩნდება ხოლმე, ხშირად სრულიად უსაბუთო და უსაფუძვლო.

კიდევ ვიტყვით, თუმცა ერთის მხრით თავისუფლება დავის გამოცხადებისა არ უნდა იყოს შეზღუდული რადგანაც აქ ყოველივე შეზღუდვა, გზას უღობავს კაცს დარღვეულის უფლების აღდგენისას, და ეს შეუწყნარებელია კეთილად განწყობილ სახელმწიფოსათვის, მაგრამ მეორეს მხრით ის ამბავი, რომ ჭეშმარიტის უფლების პატრონი, ნამდვილის საბუთების მქონებელი არ არის მოსვენებული და გულ-დადინჯებული თავისს მამულში ძრაკი გამიჯვნაა, ათასი მოულოდნელი ტყუილ-უბრალო დავა შესაძლოა აეკვიატოს და მანამდე მშვიდობიანი მფლობელობა ესდა თავ სატეხად და სადავიდარაბოდ გაუხდეს, არც ეს ამბავია იმისთანა რამ, რომ ღირსი არ იყოს ყურადღებისა. ამ შემთხვევაში ტანჯულად და წამებულად გამოდის მართალი და მტყუანს კი, ტყუილ უბრალო მოდავეს არა აკლდება-რა, რომ უდაო სადაოდ გახადა და მით მართალი ზარალში შეიყვანა, მერე იმისთანა ზარალში, რომელსაც თვით არა ჰზღავს.

აი რა აბრკოლებს გამიჯვნის საქმეებს, რომ უკვე დაწყებულს ბოლო აღარა აქვს. ჩვენ არ ვიცით, ამ შემთხვევაში რა უშლება საქმეთა სწრაფად მსვლელობას და როგორ უნდა მოესპოს კერძო კაცს უსაბუთოდ დავის ატეხა და მით გამიჯვნის საქმის დაყოვნება და დაგვიანება. შემოღებულ რომ იქმნას ზარალის ზღვევა, იქნება ამან ცოტად თუ ბევრად აღაგმოს ტყუილ უბრალო სიხარბით, ან მტრობით და ჯიბრით გამოწვეული დავა, იტყვიან ეგეც შეზღუდვაა სამართლის კარისაო, მაგრამ იგი წესი, რომ მტყუანმა მართალს ზარალი უზღოს, ჯერ ათასჯერ ჩააფიქრებს მტყუანს და მერე ასე თუ ისე ამოქმედებს. აქ მარტო მართალი იქმნება მოგებაში და სამართალს სხვა რა აქვს საგნად, თუ არ მართალის მფარველობა.

კერძო კაცის აგ-კარგიანობას ამ შემთხვევაში კიდევ ასე თუ ისე მოანელებს ადამიანი, რაკი სხვა გზა და წამალი არა მოიპოვება-რა. ხოლო ქვეყანამ არ იცის, —როგორ გაუძლებს ხაზინის დავებს. სახელმწიფო ქონების მოხელენი, რომელთ, რასაკვირველია, არ შეეწამება არც მტრობა და არც ჯიბრი ვისიმე, ისეთ მდგომარეობაში არიან, რომ ამათაც, საცა გინდა და არა გინდა დავა უნდა გამოაცხადონ, თუ ჰსურთ საყვედური არ მიიღონ სახელმწიფო ქონებათა მიმართ გულგრილობისა და დაუდევრობისათვის. ამის შიშით და იქნება ზოგჯერ მოწონების წყურვილითაც, იგინი ყველგან, საცა გასამიჯნავად ფეხს შესდგმენ, თავს ამოყოფენ და დავას აცხადებენ.

ეს მით უფრო ეხერხება სახელმწიფო ქონებათა მმართველობას, რომ წესნი სამართლისანი მისკენ არიან გადახრილნი; მას ხელს უმართავენ და შემწეობენ. ავიღოთ თუნდ ის შემთხვევა, რომ ხაზინა თუნდ გამტყუნდეს, ჯარიმასაც-კი არ იხდის, არამც თუ უზღოს რამე მართალს პატრონს მამულისას, რომელიც საქმის დაყოვნების გამო აუარებელ ზარალშია. რიგიანი სამართალი მარტო მაშინ არის, როცა ყველასათვის თანასწორია და თუ ცალკე კაცი სახელმწიფოს სასარგებლოდ ჯარიმას იხდის —როცა გამტყუნდება, რატომ ამისთანავე შემთხვევაში ხაზინა არ იხდის, თუნდ იმავ ჯარიმას სასარგებლოდ კერძო კაცისა. რაც უნდა იყოს, ცოტაოდენი შიში ჯარიმის გადახდისა თვითონ ხაზინას ჯერ ჩააფიქრებს, გადასინჯვინებდა თავისს საბუთებს დავისას და ისე გამოაცხადებინებდა დავას, თუ გამოსაცხადებელი იქნებოდა. ამ გზით მრავალი უსაბუთო დავა ხაზინის მხრით თავისთავად მოშორდებოდა თავიდამ სამართალსა და მამულების პატრონებსა და გამიჯვნის საქმეს სისწრაფე მოემატებოდა."

ჩვენდა სასიამოვნოდ, მცოდნე კაცთა ცალკე კრებულს, რომელსაც საგნად ჰქონია განსჯა და განკითხვა ჩვენში მიმქმედ გამიჯვნის საქმისა, მისის ნაკლის გამორკვევა და შემაფერხებელ მიზეზების ახსნა, სწორედ იგივე შეუნიშნავს, რაც ჩვენს ზემო აღნიშნულ წერილში გამოთქმული იყო: ეს ამბავი გვაუწყა 18 ოქტომბერს „Новое Ооозрѣніе"-მ ამ სახით:

> ბ-ნ გორემიკინის თავმჯდომარეობით მომხდარმა კრებამ განიხილა ტფილისის სამოსამართლო პალატის მიერ შედგენილი პროექტი შესახებ გამიჯვნის დებულების შეცვლისა.
>
> კრებამ გადასწყვიტა: გამიჯვნის საქმეს აბრკოლებს სხვათა შორის ის გარემოება, რომ სახელმწიფო ქონებათა მმართველობის მოხელენი ხშირად სრულიად უმიზეზოდ ასტეხამენ ხოლმე დავას, ესა და ეს მამული სახელ

მწიფო ქონებათა მმართველობას ეგუთენიოს. ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ თუ ვინიცობაა ხაზინა გამტყუნდა კიდეც, არავითარს ჯარიმას არ იხდის.

ამიტომ საჭიროა, სახელმწიფო ქონებათა მმართველობის მოხელეთ მიეცეთ დაწვრილებითი დარიგება, თუ როგორ უნდა მოიქცნენ ყოველ იმ შემთხვევაში, როცა ჭკვიანი ვისმეს დავა დაუწყონ. იმედია, რომ მაშინ სახელმწიფო ქონებათა მმართველობისა და კერძო მემამულეთა შორის დავა ნაკლებად მოხდება ხოლმე.

რაც შეეხება დავას კერძო მემამულეთა შორის, აქაც შეიძლება შემცირდეს დავა. ხშირად ზოგიერთნი დავას აუტეხენ ხოლმე მემამულეს მტრობით ანუ შურის მიზეზით და ამით მართლა რომ ნიშნს უგებენ ხოლმე, რადგანაც მართალი რომ გამართლდეს კიდეც, სასამართლოში დაკარგულ დროს და ფულს არავინ უზღავს. ვინც გამტყუნდება, ჯარიმას ხაზინაართმევს და არა გამართლებული კაცი. სამართლიანობა-კი მოითხოვს, რომ ეს ჯარიმა გამართლებულ კაცს მიეცეს. ასე რომ იყოს, მაშინ ტყუილუბრალოდ დავას არავინ დაიწყებს. მართალია, ამ შემთხვევაში ხაზინას შემოსავალი მოაკლდება, მაგრამ უსაზღვრო დავა შემცირდება და ამით არ შეიძლება არ შეუმცირდეს სახელმწიფო ქონებათა მმართველობას ხარჯი სასამართლოში საქმეთა წარმოებისა.

მაშასადამე არც ხაზინა იზარალებს, და გამიჯვნის საქმეც აღარ შეფერხდება.

◆

უცხოეთი

ინგლისი. ამ უკანასკნელს ხანს ინგლისის სახელმწიფო მოღვაწენი რაღაცა მუქარით ელაპარაკებიან თავისს თანამემამულეთ, თითქოს ბრძოლად იწვევდნენო. მთელი უკანასკნელი ნაწილი იმ სიტყვისა, რომელიც მთავარ-მინისტრმა შეფილდში წარმოსთქვა, და რომელიც მადაგასკარს შეეხებოდა, ისეთი კილოთი იყო ნათქვამი თითქოს ემუქრება და საბრძოლველად იწვევს საფრანგეთსა. ინგლისის მინისტრ-პრეზიდენტმა მოაგონა თავისს თანამემამულეებს, რომ ამ დღეს (წმ. კრისპინა), როდესაც მინისტრ-პრეზიდენტი სტუმრად იყო შეფილდის მექარხნეებთან,—ამ ხუთასის წლის წინად, აზენკურის მინდვრებზედ, ლამანშის იქითა მხარეს, სისხლის მღვრელი ბრძოლა მოხდა, რომელსაც ის შედეგი მოჰყვა, რომ ფრანგები დამარცხდნენ და ინგლისმა საფრანგეთი დაიპყროვო და რომელსაც ჟანნა დ'არკის უკვდავმა ღვაწლმა მოუღო ბოლოო. მინისტრმა თავისი სიტყვა ასე დაასრულა: „სამუდამოდ წარვიდა ის დრო, როდესაც შესაძლებელი იყო ინგლისისათვის არავითარი ყურადღება არ მიექციათო". ამ გვარმა სიტყვებმა ინგლისის პოლიტიკურ მიმართულების უმთავრესის წარმომადგენელისამ დიდი ზედგავლენა იქონია ევროპის ჟურნალ-გაზეთებზედ. გერმანიის გაზეთებმა, ჩვეულებისამებრ, უფრო უკანასკნელს სიტყვებს მიაქციეს ყურადღება და ათას გვარი კუდი გამოაბეს. „ნუ თუ, კითხულობს ამის გამო „Berliner Tageblatt", როზბერის განზრახვა აქვს შესცვალოს ის თავდაჭერილი მიმართულება ინგლისის პოლიტიკისა, რომელსაც ამ უკანასკნელს დროს მისდევდა ინგლისის პოლიტიკა და სატევს პოლიტიკას დაადგესო".

—

აღმოსავლეთის ომი. საფრანგეთის გაზეთებში დაბეჭდილია შემდეგი დაწვრილებითი ცნობები ვიჩ ჟიუს მახლობლად მომხდარის ომის შესახებ.

მდინარე იალუზედ, რომელიც ჰყოფდა ორისავე მებრძოლის ჯარებს, იაპონელები ღამე გადავიდნენ და მტრებს არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. მეორე დღეს, დილით, მოწინავე რაზმი, პოლკოვნიკის სატოს წინამძღოლობით, ჩინელების სიმაგრეებს წააწყდა. იმის-და მიუხედავად, რომ იაპონელებს ცხენოსანთა (არტილერია) ჯარი თან არ ახლდა, იაპონელებმა მაინც გაჰბედეს და სიმაგრეებზედ იერიში მიიტანეს. ორი საათის ბრძოლის შემდეგ ჩინელები თავისს სიმაგრეებიდგან გამორეკეს. არეულმა ჩინელებმა უწესრიგოდ დაიწყეს დაბა კულიენ-ხოთასკენ, რომელიც მუკდენის გზაზედ მდებარეობს. აქ, მოასწრეს თერთმეტის მიწის სიმაგრის აშენება, რომელთა შორის ზოგიერთი მართლა და ძლიერ გაამაგრეს, დანარჩენმა კი ძნელად თუ რაიმე წინა ღმდეგობა გაუწიოს იაპონელებსა, რადგანაც საკმარისი თოფ-ზარბაზანი არა აქვთ, როგორც იმ ცნობებიდგან სჩანს. რომელიც გაზ. „New Vork Herald" ატყობინებენ, იაპონელებს განზრახვა აქვთ ჩინელების ჯარს მხარი აუქციონ, გარს შემოერტყნენ და დამორჩილება აიძულონ. მარშალმა იაგამატმა ჯარების უმთავრესი სადგომი უკვე ვიჩ ჟიუში გადაიტანა. თუმცა კარგი დარები სდგას, მაგრამ მუკდენის აღება მიკადოს დაბადების დღისათვის გადასდეს. იოკაგამას ეს გეგმა სახიფათოდ მიაჩნია, და რადგანაც ეშინიან რომ ჰავის ცვლილებამ ჯარს ზიანი არა მოუტანოს-რა, განზრახვა აქვს, რა წამს ჩინელებს დაბა კულიენ-ხოთდგან გამორეკენ, ჯარები საზამთრო სადგომებში დააბინაონ.

—

საფრანგეთი. საფრანგეთის გაზეთები დიდის თანაგრძნობით იხსენიებენ გრაფ კაპრივის. აი მაგ. „Temps" რასა სწერს: მანამ კაპრივი მთავრობას სათავეში უდგა, მთელი ევროპა არამც თუ ნდობით უყურებდა ახალგაზდა იმპერატორს, არამედ სრულიად დამშვიდებული იყო, რადგან იცოდა რა ფრთხილი და გონიერი სახელმწიფო კაცი იყო კაპრივი

წავიდა გრ. კაპრივი და თან წაიღო საპოლიტიკო დასებისა და მთელის ევროპის პატივის-ცემა; ევროპა მას მშვიდობიანობის დარაჯად სთვლიდა.

„Liberté"-ს აზრით, ვინც უნდა იყოს კაპრივის მოადგილე, იმპერატორს არა ვითარი შემთხვევა არა აქვს თავისი მშვიდობიანი პოლიტიკა შესცვალოს. ეს კრიზისი შინაურული საქმეა და სწორედ ამიტომაც იგი ევროპაში არავითარ შიშს არ გამოიწვევსო.

ფრანგული ჟურნალ გაზეთობა ჰოჰენლოეს დანიშვნასაც თანაგრძნობით მიეგება.

«Figaro"-ამბობს, რომ ყველგან, სადაც-კი მსახურებდა პრინცი, დიდი ჭკუა და სიფრთხილე გამოიჩინაო. თვით ელზას-ლოტრენში არასდროს არ უხმარია მას ისეთი რამ საშუალება, რომ საზოგადო აღშფოთება გამოეწვიაო.

◆

წერილი რედაქციის მიმართ

ამხანაგების მონდომილებით უმორჩილესად გთხოვთ, ნება მოგვცეთ თქვენის გაზეთის საშუალებით მადლობა განვუცხადოთ აქ მოსწავლეს, ბ-ნ ალოიზ შიხნოვს, რომელმაც ითავა მოსკოვში მოსწავლე ქართველთა სასარგებლოდ წარმოდგენის გამართვა სოფ. ქარელში 21 აგვისტოს. აგრეთვე მადლობას ვუძღვნით თავ. მიხეილ სოლომონის ძეს ციციშვილს (უსასყიდლოთ სახლის დათმობისათვის) თავ. დავით კირილეს ძე ციციშვილს (გასართობისათვის), მსახიობებს: ქ-ნ ნებიერიძეს, ბბ. ვ. აბაშიძე, ს. სვიმონიძეს, ა. ნებიერიძეს, საფაროვს და ყველა იმ პირთ, რომელთაც ასე თუ ისე მონაწილეობა მიიღეს საღამოს გამართვაში.

ა. დ—ძე
ი. ზ—შვილი

ქ. მოსკოვი.

◆

დეპეშა

26 ოქტომბერი

პეტერბურგი. უმაღლესად გამოცხადებულია ის წესი, რა წესითაც უნდა წაასვენონ ღვთის მიერ გარდაცვალებულის იმპერატორის ალექსანდრეს ნეშთი ლივადიდგან პეტერბურგს. იმპერატორის ნეშთს სებასტოპოლამდის სამხედრო გემით „Память Меркурія"-თი მიასვენებენ და აქედგან რკინის გზით ხარკოვზედ პეტერბურგს წაასვენებენ. ის მატარებელი, რომელზედაც იმპერატორის ნეშთი იქნება, ყოველს საგუბერნიო ქალაქში უნდა შეაჩერონ.

„Русскій Инвалид"-ი სწერს, რომ უკანასკნელ დღემდე სიცოცხლისა განსვენებული ხელმწიფე საქმეებს თავს არ ანებებდა; ყველა უმაღლესად გამოცემულ ბრძანებას 20 ოქტომბრამდე საკუთარის მისის უდიდებულესობის ხელით მოწერილია მტკიცედ „ლივადია" და გვერდზედ «წავიკითხე».

დღეს თანადასწრებით ზღვის სამინისტროს მართველისა ჩაუშვეს ზღვაზე ჯავშნიანი ცეცხლის გემი „პოლტავა" ამგებელი გემისა არის ლეონტიევი, ხოლო კაპიტნად გემისა დანიშნულია კაპიტანი პირველის ხარისხისა ბაუერი.

◆

პეტერბურგის ბირჟა, 25 ოქტომბ.

	მყიდვე-ლისა.	გამყიდ-ველისა.	გაყიდუ-ლისა.
	მან. კ.	მან. კ.	მან. კ.
ხუთ-მანათიანი ოქრო .	7,44	7,46	— ,,
ტამოჟნის კუპონები .	149¼	149½	— ,,
მანეთიანი ვერცხლის ფული.	— ,,	— ,,	— ,,
5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . .	239	— ,,	— ,,
—მეორისა	219	— ,,	— ,,
4% მესამე სესხისა. .	— ,,	— ,,	— ,,
სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი .	— ,,	— ,,	191½
კირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა:			
6%	— ,,	— ,,	101
5%	— ,,	— ,,	98¾
ქუთაისის ბანკის 6%.	— ,,	— ,,	101
5%.	— ,,	— ,,	98¾
5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა	96½	— ,,	— ,,

განცხადებანი

იმპერატრიცა მარიამ ალექსანდრეს ასულის სახელობაზედ დაარსებული ბრმათ სამზრუნველოს კავკასიის განყოფილების საბჭოს **სჭირდება 1895 წლის 1 იანვრიდგან სადგომი თვალების უფასო სამკურნალოს მოსათავსებლად.** სახლის იმ პატრონებს, რომელნიც მოისურვებენ სახლი მიაქირაონ, სთხოვენ მიჰმართონ ან საავადმყოფოს დირექტორს გ. ლ. ტარსაიძეს (ფრეილინის ქუჩა, შადინოვის სახლი). ან საბჭოს მდივანს ა. პ. ნაუმოვს (კავკასიის სარხეოლოგიო კომისია, სერგიევის ქუჩა, შახ-პარონიანცის სახლი).

ეს სადგომი ქალაქის შუა გულს ალაგას უნდა იყოს და 8—10 ოთახზედ ნაკლებს არ უნდა შეიცავდეს. განიერი, ნათელი ოთახები უნდა ჰქონდეს, კედლები ზეთის საღებავი წამლით შეღებილი.

(1—უ.—1)

რადგან გამოკვლეულ იქმნა, რომ ვინც წრეულს ხოლერით ავად გახდა, უმრავლესობას მიზეზად მტკვრის წყალი გაუხდა, ქალაქის გამგეობა სთხოვს, მკვიდრთ მტკვრის **წყალი არც სასმელად იხმარონ და არც სახლში სახმარად, მით უფრო, რომ მტკვრის წყალში ბაქტერიოლოგიურის გამოკვლევით ექიმმა რეხტზამერმა ხოლერის ბაცილები აღმოაჩინა.** (2—ნ.—1)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, კარანცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათიმდე, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

დ. გ. რუდკოვსკი, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

ი. ფ. პროტასევიჩი,—11½—12½ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

ექიმი ქალი **ა. მ. ტურბოვიჩი.** 12½—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

ა. პ. კარაშეტიანცი, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ა. გურკო, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

ბ. ა. ნავასარდიანი, 7—7½ საათამდის.

მ. ი. ფრანცეუსი, 7—7½ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერიფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

(857—1467)

კბილის ექიმი

ვ. ი. ჭიჭინაძე

(მიხეილის ქუჩა, სახლი კრაუზესი, 79)

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9 საათიდგან, ნაშუადღევის 2 საათამდის და საღამოს 4—6 საათამდის.

რთულის ოპერაციის დროს დაესწრება ექიმი ი. ს. ელიაშვილი.

(50—ნ.—19)

ცხოვრება

დიდისა მოწამისა პანტელეიმონისა

თარგმნილი

მ. შარაძის მიერ, გამოცემა ი. ჩიჩუასი

ფასი ერთი შაური

ისყიდება ტფილისის ქუთაისისა და ოზურგეთის წიგნის მაღაზიებში და შარაძისა და ამხან. სტამბაში.

„წერა-კითხვის საზოგადოების"

წიგნის მაღაზიაში

ისყიდება შემდეგი წიგნები:

	მან.	კაპ.
ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . .	„	40
ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . .	„	90
გეომეტრია II მ. ყიფიანისა	„	50
ვისრამიანი..	1	50
თხზულ. რ. ერისთავისა I	1	„
თხზულ. რ. ერისთავისა II	„	40
კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა	„	10
კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა	„	30
იგივე მშვენიერის ყდით .	„	80
მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი.	„	30
შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა	„	20
პატარა მოამბე II ალ. მარიანაშვილისა	„	10
რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. .	„	30
რუხი მგელი გ. წერეთლისა	„	15
ქილილა და დამანა . .	3	„
შალვას თავგადასავალი ცახელისა	„	15
ცვარი შ. მღვიმელისა .	„	30
წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . .	„	15
ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ.	„	30
ხატაური ან. თუმანიშვილისა.	„	10
კონა ი. გოგებაშვილისა .	„	50
კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა .	„	40
შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება . როსტომაშვილისა . .	„	5
ვიქტორ-ჰიუგოს რომანიდამ „ოთხმოცდა-ცამეტი წელი" დ. ყიფიანისა.	„	20
ლექსები ვახტ. ორბელიანისა	„	20

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა

რედაქტორი გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.